12/3-125/22 2 10012022

12/3-125/22
10-01-2022

საქართველოს იუსტიციის სამინისტროს

მოგესალმებით

საქართველოს კონსტიტუციის 43-ე მუხლის პირველი ნაწილისა და საქართველოს პარლამენტის რეგლამენტის 148-ე მუხლის პირველი ნაწილის საფუძველზე, გთხოვთ მომაწოდოთ ინფორმაცია

რამდენი მსჯავრდებული გვყავს, ვინც სასჯელს იხდის სისხლის სამართლის კოდექსის 272-ე მუხლით და სისხლის სამართლის კოდექსის 273-ე მუხლის იმ ნორმატიული შინაარსით, რომელიც პირს სისხლის სამართლის პასუხისმგებლობას აკისრებს ნარკოტიკული საშუალების, მისი ანალოგის ან პრეკურსორის **მოხმარებისთვის.**

პატივისცემით,

პარლამენტის წევრი
იაგო ხვიჩია

საქართველოს იუსტიციის მინისტრი

საქართველო, ქ. თბილისი, 0114, გორგასლის ქ.24 ა. ტელ.: 2 40–51–48, 2 40-58-36; ელ.ფოსტა: info@justice.gov.ge

KA010181579057022

№1353

02 / თებერვალი / 2022 წ.

საქართველოს პარლამენტის წევრს,
ბატონ იაგო ხვიჩიას

ბატონო იაგო,

საქართველოს იუსტიციის სამინისტროში წარმოდგენილი თქვენი №12/3-125/22 მომართვის პასუხად, რომლის თანახმადაც მოთხოვნილია სტატისტიკური მონაცემები კონკრეტული მუხლებით მსჯავრდებული პირების თაობაზე, დანართის სახით გიგზავნით საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მმართველობის სფეროში მოქმედი სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება – სპეციალური პენიტენციური სამსახურის მიერ წარმოდგენილ ინფორმაციას.

დანართი: 1 (ერთი) ფურცელი

პატივისცემით,

მინისტრი

ხელმოწერილია/
შტამპდასმულია
ელექტრონულად

რატი ბრეგაძე

საქართველოს იუსტიციის სამინისტრო
სპეციალური პენიტენციური სამსახური

THE MINISTRY OF JUSTICE OF GEORGIA
SPECIAL PENITENTIARY SERVICE

KA010167992242522

0186, ქ. თბილისი ზურაბ ანჯაფარიძის ქ. N27, საქართველო
N27, Zurab Anjaparidze str, Tbilisi, 0186, Georgia, www.sps.gov.ge
ტელ./Tel.:(995 32) 2312734

№27845/01

31 / იანვარი / 2022 წ.

საქართველოს იუსტიციის სამინისტროს
ადმინისტრაციული დეპარტამენტის უფროსს
ქალბატონ მანანა ბეგიაშვილს

ქალბატონო მანანა,

თქვენი 2022 წლის 12 იანვრის N365 წერილით გადმოგზავნილი, საქართველოს პარლამენტის წევრის იაგო ხვიჩიას 2022 წლის 10 იანვრის N12/3-125/22 მომართვის პასუხად გაცნობებთ, რომ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 272-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენისთვის სასჯელს იხდის ერთი მსჯავრდებული, ხოლო სისხლის სამართლის კოდექსის 273-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენისთვის - არც ერთი.

პატივისცემით,

პენიტენციური დეპარტამენტის დირექტორი

ხელმოწერილია/
შტამპდასმულია
ელექტრონულად

დავით ბედია